დანართი 1

დამტკიცებულია: ბრ.#07/01-28, 24/06/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
მედიცინის სკოლის საკურსო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი

(დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა)

თბილისი

2024

1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე დებულება ეფუძნება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დებულებას, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის აკადემიურ მოთხოვნებსა და სკოლის საბჭოს დებულებას.

1.2 **შავი ზღვის უნივერსიტეტის მედიცინის** სკოლაში საკურსო ნაშრომის მომზადება, დაცვა და ხარისხის მინიჭება ხორციელდება წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

1.3 საკურსო ნაშრომის მომზადებას, გაფორმებას, წარმოდგენასა და დაცვას შეესაბამება 4 კრედიტის ეკვივალენტური დატვირთვა.

2. საკურსო ნაშრომის დაცვის კომისია:

2.1 მედიცინის სკოლის საკურსო ნაშრომის დაცვის კომისია (შემდგომში „კომისია”) წარმოადგენს მედიცინის პროგრამის დონეზე სამეცნიერო საქმიანობის წარმართვისა და შეფასების უმაღლეს ორგანოს. კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება საკურსო თემის სპეციფიკის გათვალისწინებით და სკოლის დეკანის წარდგინებით, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

2.2. კომისია იქმნება საკურსო ნაშრომზე რეგისტრაციის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში.

2.3 კომისიის წევრი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დარგის გამორჩეული პრაქტიკოსი, რომელსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში უფიქსირდება სამეცნიერო კვლევები. კომისია შედგება მინიმუმ 3 (სამი) და მაქსიმუმ 5 (ხუთი) პირისაგან. კომისია კომპლექტდება შესაბამისი პროგრამის აკადემიური პერსონალისაგან, ასევე უნივერსიტეტის ან დარგის/სპეციალობის ექსპერტებისაგან/მოწვეული ლექტორებისაგან.

2.4 საკურსო თემის დაცვამდე კომისია ირჩევს თავმჯდომარეს.

2.5 კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია განსახილველი საკურსო ნაშრომის თემატიკის გათვალისწინებით სხდომაზე მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

2.6 კომისია უფლებამოსილია, ჩაატაროს დაცვა, თუ მას ესწრება 3 წევრი 5-დან.

2.7 კომისიის მდივნის ფუნქციას ასრულებს მედიცინის სკოლის პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი ან აკადემიური მენეჯერი.

3. საკურსო ნაშრომის განმარტება

3.1 **შავი ზღვის უნივერსიტეტის მედიცინის** სკოლის მედიცინის პროგრამის დასრულებისას, დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ქმნის საკურსო ნაშრომს. საკურსო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს ინდივიდუალურად შესრულებულ თეზისს.

3.2 საკურსო ნაშრომში სტუდენტმა უნდა წარმოაჩინოს სპეციალიზაციის სფეროში შესრულებული თეზისი. სტუდენტმა ნაშრომში თეზისი დამაჯერებლად უნდა წარმოდგინოს შინაარსობრივი, საგნობრივი და ენობრივი თვალსაზრისით.

3.3 საკურსო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში სპეციალიზაციაში აკუმულირებული ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, სამეცნიერო და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა.

3.4 სტუდენტმა უნდა შეძლოს საკურსო ნაშრომში დარგისთვის დამახასიათებელი მეთოდიკის გამოყენება, შესაბამისი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ახალი და განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი.

4.. საკურსო ნაშრომის თემის რეგისტრაცია

4.1 საკურსო ნაშრომის თემის რეგისტრაციის უფლება აქვს სტუდენტს, რომელმაც დააგროვა 330 კრედიტი.

4.2 განცხადების საფუძველზე სკოლის საბჭო განიხილავს და ამტკიცებს საკურსო თემას, თემის ხელმძღვანელს, ადგენს თემის მონახაზის ჩაბარების, თემისა და სათაურის წინასწარი დაცვის, ნაშრომის ჩაბარებისა და დაცვის ვადებს, რის შესახებაც ეცნობება სტუდენტს საკურსო თემის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კვირის ვადაში.

4.3 საკურსო ნაშრომის თემის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ, საკურსო ნაშრომზე რეგისტრაციის დასრულებიდან არაუმეტეს ერთი თვისა, რისთვისაც ხელახლა უნდა გაფორმდეს განაცხადის ფორმა ახალი თარიღით.
4.4 სტუდენტი ვალდებულია საკურსო ნაშრომზე/პროექტზე მუშაობა დაასრულოს და დასრულებული ნაშრომი/პროექტი წარმოადგინოს საკურსო ნაშრომზე/პროექტზე (კრედიტზე რეგისტრაცია) რეგისტრაციიდან ერთი სემესტრის განმავლობაში.

5. საკურსო ნაშრომის მონახაზის/მომზადება, წარდგენა და სარეკომენდაციო შეფასება
5.1 საკურსო ნაშრომის წინასწარ მონახაზზე მუშაობა მიმდინარეობს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობისა და თემის ხელმძღვანელთან კონსულტაციების ფორმატში (მათ შორის, - ,,ელექტრონულად“).
5.2 სტუდენტი საკურსო კვლევის მონახაზის ელექტრონულ ვერსიას წარუდგენს ხელმძღვანელს სემესტრის დაწყებიდან არა უგვიანეს მე-7 კვირაში *(კონკრეტული თარიღები მტკიცდება სკოლის საბჭოს მიერ. იხ. პუნქტი 4.2).*
5.3 ნაშრომის მონახაზი უნდა მოიცავდეს:

- საკურსო ნაშრომის თემას და სავარაუდო სტრუქტურას (რა თავებისგან შედგება ნაშრომი);
- კვლევის დიზაინს (საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა/ჰიპოთეზები, სავარაუდო თეორიული ჩარჩო, კვლევის მეთოდოლოგიის მონახაზი);
- ასეთის არსებობის შემთხვევაში, ორიგინალური კვლევის მონახაზს (რა ტიპის იქნება კვლევა, სად და როდის ჩატარდება, ვინ იქნება სამიზნე ჯგუფი და ა. შ.);
- საკვლევ თემასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის მონახაზს;
- ბიბლიოგრაფიას.

5.4 ნაშრომის მონახაზის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 10 და არაუმეტეს 20 გვერდისა (ბიბლიოგრაფიის გამოკლებით). ყველა გვერდი უნდა იყოს დანომრილი თანმიმდევრობით. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის ქაღალდზე, შრიფტით - Sylfaen, ზომით 12. ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5 გვერდის ველები (ყველა მხრიდან) – 2,5 სმ.
5.5 საკურსო ნაშრომის მონახაზი განიხილება ხელმძღვანელის მიერ. საკურსო ნაშრომის მონახაზის შესახებ დასკვნა სრულდება დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა და წარმოდგენას ქმნის დამამთავრებელი კურსის სტუდენტის მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ (**დანართი 4**). ნაშრომის მონახაზში მნიშვნელოვანი აკადემიური ხარვეზების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელი უფლებამოსილია სტუდენტს მისცეს რეკომენდაციები შემდგომ კვლევით პროცესში გასათვალისწინებლად.
5.6. ხელმძღვანელი დასკვნას წარუდგენს კომისიის მდივანს პროსპექტუსის მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კვირის ვადაში.

6. საკურსო ნაშრომის ხელმძღვანელი:
6.1 საკურსო ნაშრომის ხელმძღვანელი (საჭიროების შემთხვევაში - თანახელმძღვანელი) შეიძლება იყოს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი – პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, როგორც მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლიდან, ასევე უნივერსიტეტის სხვა სკოლებიდან. ნაშრომის ხელმძღვანელი ასევე შეიძლება იყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე მოწვეული ლექტორი სხვა უნივერსიტეტიდან ან სხვა დაწესებულებიდან.
6.2 საკურსო თემის ხელმძღვანელის არჩევა ხდება სტუდენტის მიერ მინიმუმ 330 კრედიტის დაფარვის შემდეგ.
6.3 330 კრედიტის დაფარვის შემდეგ სტუდენტი მიმართავს პროგრამის ხელმძღვანელს საკურსო ნაშრომის თემის არჩევის შესახებ და აფიქსირებს თავის ინტერესს წერილობით ან ელექტრონულად. სემესტრის დასაწყისში, აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში, სტუდენტი აფიქსირებს თავის არჩევანს.
6.4 საკურსო ნაშრომის ხელმძღვანელს და საკურსო ნაშრომის თემას ამტკიცებს სკოლის საბჭო.

6.5 სტუდენტის საკურსო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს სტუდენტს თემის შერჩევაში, კვლევის დიზაინის შედგენასა და შესაფერისი აკადემიური ლიტერატურის შერჩევაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში, მიუთითოს სტუდენტს საჭირო კორექტივები, ხოლო დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში, წერილობით წარმოადგენს დასკვნებს და მონაწილეობს კომისიის სხდომებში.
6.6 საკურსო ნაშრომის ჩაბარებამდე კურსდამამთავრებელი სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი რეგისტრირდება მუდლის პლატფორმაზე და ამოწმებს ნაშრომს პლაგიატის ამოცნობისა და თავიდან არიდების პროგრამაში („ტურნიტინში“) სტუდენტთა ნაშრომების შემოწმების წესის შესაბამისად.
6.7 ნაშრომის დასრულების შემდეგ, სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ადგენს სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობით დასკვნას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით (**დანართი 2**).

7. საკურსო ნაშრომი:
7.1 საკურსო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს სტუდენტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს, რომელიც ასახავს სტუდენტის უნარს ჩაატაროს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო.
7.2 წარმოდგენილი ნაშრომის დაცვისას სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და წარმოაჩინოს აკადემიურ დისკუსიაში მონაწილეობის უნარი.
7.3 საკურსო ნაშრომი უნდა შესრულდეს ინგლისურ ან ქართულ ენაზე (მედიცინის პროგრამის შესაბამისობის მიხედვით) ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შეცდომების გარეშე, დადგენილი აკადემიური ფორმისა და წესის მიხედვით.
7.4 საკურსო ნაშრომის მოცულობა, ფორმატი, სტილი, ციტირების წესი და სხვა ტექნიკური მონაცემები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

8. საკურსო ნაშრომის წარდგენა და დაცვა:
8.1. სტუდენტი ვალდებულია საკურსო ნაშრომზე მუშაობა დაასრულოს და დასრულებული ნაშრომი წარმოადგინოს საკურსო ნაშრომზე რეგისტრაციიდან ერთი სემესტრის განმავლობაში (სემესტრის დაწყებიდან არა უგვიანეს მე-18 კვირაში). კონკრეტულ ვადებს ამტკიცებს სკოლის საბჭო. იხ. პუნქტი 4.2), ხოლო საკურსო ნაშრომის დაცვა მოხდება იმავე სემესტრში.
8.2 საკურსო ნაშრომის ჩაბარებამდე ერთი კვირით ადრე, კომისიის მდივანი ამოწმებს წარმოდგენილი მასალების წინამდებარე დებულების ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობას და ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, ნაშრომს უბრუნებს სტუდენტს შესწორებების შესატანად და დაბეჭდილი ვერსიის წარმოსადგენად.
8.3. საკურსო ნაშრომის დაცვამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე, სტუდენტმა საკურსო ნაშრომის ელექტრონული ვერსია უნდა ატვირთოს ხელმძღვანელის მიერ მუდლში შექმნილ სპეციალურ გარემოში, პლაგიატის ამოცნობისა და თავიდან არიდების პროგრამაში („ტურნიტინში“) მსგავსებაზე შემოწმების მიზნით.
8.4. ხელმძღვანელი ნაშრომს ამოწმებს პლაგიატის ამოცნობისა და თავიდან არიდების პროგრამაში („ტურნიტინში“) სტუდენტთა ნაშრომების შემოწმების წესის შესაბამისად და ხელმძღვანელის საბოლოო დასკვნაში **(დანართი 2)** შეაქვს ინფორმაცია აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ.
8.5 სტუდენტმა საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადაში დაბეჭდილი საკურსო ნაშრომის ეგზემპლიარი, ელექტრონულ ვერსიასა და სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობით დასკვნასთან ერთად (**დანართი 2**), უნდა წარუდგინოს კომისიის მდივანს.
8.6 სკოლის საბჭომ დეკანის წარდგინებით შეიძლება დაამტკიცოს საკურსო თემის რეცენზენტი.
8.7 საკურსო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, კომისიის წინაშე.
8.8 კომისიის სხდომაზე კომისიის მდივანი აცხადებს სტუდენტის ვინაობას და საკურსო ნაშრომის თემას, სამეცნიერო ხელმძღვანელისა და გამსწორებლების/რეცენზენტის ვინაობას, დამსწრე საზოგადოებას აცნობს საკურსო ნაშრომის დაცვის პროცედურას.

8.9 პრეზენტაციაზე სტუდენტი მოკლედ აყალიბებს საკვლევ თემას და კვლევის დიზაინს, კვლევის მეთოდებს, მიღებულ შედეგებსა და დასკვნებს. პრეზენტაცია არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს.
8.10 პრეზენტაციის დასრულებისთანავე ხდება გამსწორებლების/რეცენზენტის რეკომენდაციების გამოკვლევა. სტუდენტმა პასუხი უნდა გასცეს გამსწორებლების/რეცენზენტის ჩამოყალიბებულ შენიშვნებს ნაშრომზე. იმართება დისკუსია სტუდენტსა და კომისიის წევრებს შორის.
8.11 კომისია წარმოდგენილ ნაშრომს 100 ქულის ფარგლებში აფასებს ორ კომპონენტად: წერითი (70 ქულა) და ზეპირი პრეზენტაცია (30 ქულა). დაცვაზე მიღებული შეფასება გამოითვლება კომისიის წევრების მიერ დაწერილ შეფასებათა საშუალო არითმეტიკულით.
8.12 საკურსო ნაშრომის წერითი კომპონენტის შეფასების დროს ყურადღება ექცევა შემდეგ კრიტერიუმებს **(დანართი 3):**

- თემის შინაარსობრივი გამართულობა – 30 ქულა
- თემის აკადემიური გამართულობა – 30 ქულა
- თემის სტრუქტურული და ტექნიკური გამართულობა – 10 ქულა

8.13 საკურსო ნაშრომის ზეპირი კომპონენტის შეფასების დროს ყურადღება ექცევა შემდეგ კრიტერიუმებს **(დანართი 3):**

- პრეზენტაციის შინაარსობრივი გამართულობა - 10 ქულა
- თემის პრეზენტაბელურობა და კომუნიკაცია - 10 ქულა
- არგუმენტების დამაჯერებლობა - 10 ქულა

8.14 დაცვის დასასრულს კომისიის თავმჯდომარე აცხადებს ნაშრომის საბოლოო შეფასებას.
8.16 საკურსო ნაშრომის დაცვის დროს დგება კომისიის ოქმი, რომელსაც დაერთვის ინფორმაცია დაცვის მსვლელობის შესახებ.
8.16 სავალდებულოა, საბოლოო დადებითი შეფასება შედგებოდეს როგორც საკურსო ნაშრომის წერითი, ასევე ზეპირი კომპონენტის ქულისგან.
8.17 ზემოთ აღნიშნული შეფასებების სისტემის საფუძველზე კომისია ადგენს ნაშრომის ჯამურ შეფასებას (**დანართი 4ბ**). საკურსო ნაშრომი, ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. საკურსო ნაშრომში/პროექტში სტუდენტი დადებით შეფასებას იღებს, თუ იგი 100 ქულიდან მიიღებს მინიმუმ 60 ქულას (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი). თუ სტუდენტი საკურსო ნაშრომისა და მისი საჯარო დაცვის ერთჯერადი შეფასებით, ვერ მიიღებს მინიმუმ 60 ქულას, მაგრამ მისი შეფასება იქნება 41-59 ქულის ფარგლებში, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად სტუდენტს უფლება ეძლევა, გადამუშავებული საკურსო ნაშრომი/პროექტი წარმოადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო თუ სტუდენტის შეფასება იქნება 0-40 ქულის ფარგლებში "F", სტუდენტი კარგავს იგივე საკურსო ნაშრომი/პროექტის წარდგენის უფლებას.
8.18 შეფასების სისტემასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით.
8.19 "F"-ით შეფასებული საკურსო ნაშრომის ერთი პირი და კომისიის წევრთა წერილობითი შეფასებები შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.
8.20 "F"-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ახალი საკურსო თემა უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად, სასწავლო პერიოდით ნებადართულ ვადაში.
8.21 აღნიშნული პროცედურის გავლის შემდეგ, საკურსო ნაშრომის შეფასება ასახული იქნება სტუდენტის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის დანართში.
8.22 სტუდენტის ხარისხის მინიჭება ხდება სკოლის საბჭოს მიერ, კომისიის ოქმისა და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების (არანაკლებ 360 ECTS) მოგროვების საფუძველზე.

9. საკურსო ნაშრომის დაცვის შედეგების გასაჩივრება:
9.1 საკურსო ნაშრომის დაცვის გასაჩივრების წესი და პროცედურა რეგულირდება „გამოცდების ჩატარების წესის შესახებ" დებულებით.

10. საკურსო ნაშრომის სტრუქტურა

10.1 საკურსო ნაშრომის სარეკომენდაციო სტრუქტურა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან, რომლებიც მოცემულია შემდეგი კომპონენტებისგან:

- თავფურცელი
- ანოტაცია
- შინაარსი (სარჩევი)
- შესავალი
- ტექსტის ძირითადი ნაწილი, რომელიც შედგება რამდენიმე (3-7) თავისგან
- დასკვნა
- გამოქვეყნებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა
- დანართები
- დამხმარე მაჩვენებლები

10.2 **თავფურცელი (სატიტულო ფურცელი)** – ივსება მკაცრად განსაზღვრული წესის მიხედვით (დანართი 5)

10.3 **ანოტაცია** - ანოტაციაში აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი, ობიექტი, ძირითადი შედეგები, სიახლე; მოცულობა მაქსიმუმ 300 სიტყვა. ანოტაცია სრულდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. ინგლისური ვარიანტი უნდა შეიცავდეს თემის დასახელებას და ავტორის სახელსა და გვარს.

10.4 **შინაარსი (სარჩევი)** – ასახავს საკურსო ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და ქვეთავის ზუსტ დასახელებას თანმიმდევრულად, მათი გვერდების ნომრის მარჯვენა მხარეს მითითებით. გვერდების ნუმერაცია უნდა დაიწეროს სარჩევის მომდევნო გვერდიდან თავფურცლის, ანოტაციისა და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით.

10.5 **შესავალი:** ნაშრომის ამ ნაწილში უნდა აისახოს თემის აქტუალურობის დასაბუთება, მიზნები, დასმული ამოცანების შინაარსი; უნდა იყოს ფორმულირებული საკვლევი საგანი, საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა, ნაშრომში გამოკვეთილი დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები, კვლევის დროს გამოყენებული მეთოდები და თეორიული მიდგომა. შესავალის მიზანია დააინტერესოს მკითხველი და აუხსნას მას, თუ რას ეხება წარმოდგენილი თემა. შესავლის წაკითხვა საკმარისი უნდა იყოს მკითხველისა და შემფასებლისთვის, რომ გაიგოს თემაში განვითარებული ძირითადი არგუმენტები, თეორიული ჩარჩო და იდეები. ნაშრომის შესავალი, როგორც წესი, არ აღემატება თემის საერთო მოცულობის 10 პროცენტს.

10.6 **ტექსტის ძირითადი ნაწილი:** ძირითადი ტექსტი იყოფა თავებად და ქვეთავებად. თავები გადაინომრება თანმიმდევრულად. ქვეთავებს დაესმის თავისა და ქვეთავის ნომრები. თავის დასახელება იწერება 14-იანი ზომის შრიფტით, ქვეთავი - 12 ზომის შრიფტით. ტექსტი შეიძლება მოიცავდეს 4-8 თავს. ტექსტში უნდა ჩანდეს მასალის ფლობა, არგუმენტაცია, ლოგიკური ანალიზის უნარი.

ტექსტის ძირითად ნაწილში განვითარებული უნდა იყოს ჰიპოთეზა, რომელიც უნდა მტკიცდებოდეს ან ხდებოდეს მის უარყოფა. ასევე შესაძლებელია, რომ ნაშრომში ხდებოდეს რომელიმე სხვა აქტორის ჰიპოთეზის/თეორიის ტესტირება (რაღაც ახალ შემთხვევაზე მორგებით, ან ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებით). მასში აუცილებლად უნდა იყოს გამოყოფილი დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები. ასევე, სასურველია იყოს იდენტიფიცირებული, თუ რომელი ცვლადებია კონტროლირებადი და რომელი ამხსნელი. ტექსტში უნდა მოხდეს ცვლადების ოპერაციონალიზაცია (გასაზღვრა). ტექსტში ცალკე ადგილი უნდა დაეთმოს სტუდენტის მიერ მოყვანილი შემთხვევის შესწავლასა და აღწერას, ლიტერატურის მიმოხილვას, თეორიის აღწერას, და, რაც მთავარია, თეორიის მისადაგებას პრაქტიკული მაგალითისადმი. თემაში ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი კვლევის მეთოდოლოგია.

10.7 **დასკვნა:** დასკვნა წარმოადგენს საკურსო ნაშრომის კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ნაწილს, რომელშიც მოკლედ აისახება კვლევის შედეგების თეორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულება და ასევე პერსპექტიული გამოყენების სფერო.

დასკვნა არის პრაქტიკულად იგივე შესავალი, ოღონდ წარსულ დროში. არავითარ შემთხვევაში დასკვნაში არ უნდა იყოს განვითარებული რაიმე ახალი იდეა ან კონცეფცია.

10.8 **გამოყენებული ლიტერატურის** მიმართ გასათვალისწინებელი მოთხოვნებია:

- ლიტერატურის ნუსხა წარმოდგენილი უნდა იყოს ანბანური თანმიმდევრობით (ჯერ ქართულ, შემდეგ უცხოურ ენებზე);
- ნაშრომში გამოყენებული უნდა იქნას წყაროების მითითების ტურაბიანის გზა (კერძოდ, ტურაბიანის მეთოდის ტექსტში ფრჩხილებში ციტირების ვარიანტი - დანართი 6);
- საკურსო ნაშრომის დაწერის დროს სტუდენტს მოეთხოვება გამოიყენოს მინიმუმ 10 წიგნი და 20 აკადემიური სტატია.

10.9 **დანართები:** ნაშრომს შეიძლება ერთვოდეს დანართები, რომლებიც აუცილებელია ტექსტის უკეთ გასაგებად და ზოგიერთი არგუმენტის გასამყარებლად. დანართები უნდა იყოს დანომრილი და, თუ ისინი რომელიმე წყაროდანაა ამოღებული, წყარო აუცილებლად უნდა იყოს მითითებული.

10.10 **დამხმარე მაჩვენლები:** ნაშრომს შეიძლება ერთოდეს დამხმარე მაჩვენებლები, რომლებიც აუცილებელია ტექსტის უკეთ გასაგებად და ზოგიერთი არგუმენტის გასამყარებლად. დამხმარე მაჩვენებლები უნდა იყოს დანომრილი და, თუ ისინი რომელიმე წყაროდანაა ამოღებული, წყარო აუცილებლად უნდა იყოს მითითებული.

11. საკურსო ნაშრომის გაფორმების წესი

11.1 საკურსო ნაშრომის ტექნიკური მახასიათებლები უნდა იყოს შემდეგი:

- ნაშრომის მოცულობა – მინიმუმ 9000 და მაქსიმუმ 15,000 სიტყვა, ბიბლიოგრაფიის ნუსხისა და დანართების გარეშე.
- ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე
- ფონტის სახე – Sylfaen;
- ტექსტის შრიფტის ზომა – 12
- სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;
- ნაშრომის თითოეულ გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან - 3 სმ, მარჯვნიდან – 1 სმ, ზემოდან – 2,5 სმ, ქვემოდან – 2.5 სმ

11.2 საკურსო ნაშრომის წარდგენისას დაცული უნდა იქნას შემდეგი წესები:

- საკურსო ნაშრომი უნდა იყოს აკინძული A4 ფორმატში ორ ეგზემპლარად;
- ნაშრომს თან უნდა ახლდეს ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა საკურსო ნაშრომზე;

დანართი 1

საკურსო ნაშრომის რეგისტრაციის ფორმა

სტუდენტის სახელი და გვარი	
საკურსო პროგრამაზე ჩარიცხვის წელი	

განაცხადის წარდგენის მომენტში დაგროვებული კრედიტების რაოდენობა	
საკურსო ნაშრომის სავარაუდო სათაური	
საკურსო თემის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური პოზიცია, საკონტაქტო ინფორმაცია	

სტუდენტის ხელმოწერა:
თემის ხელმძღვანელის ხელმოწერა:
თარიღი:

დანართი 2

ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა

დასკვნა უნდა იყოს მოწოდებული ნაბეჭდი სახით A4 ზომის ფურცლის 2-3 გვერდი, შრიფტი – ”sylfaen”, ზომა - 12, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5; გვერდის ველები (ყველა მხრიდან) – 2,5 სმ.

სავალდებულოა დასკვნა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა. ნაშრომის დასახელება და ავტორის ვინაობა;

ბ. ნაშრომის საკვლევი თემის აქტუალობა და შესრულების აკადემიური ხარისხი (წარმოდგენილია თუ არა საკვლევი კითხვა, გამართულია თუ არა ჰიპოთეზა, ცვლადების ოპერაციონალიზაცია და კვლევის შედეგები);

გ. ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნა და შესაძლო შენიშვნები/რეკომენდაციები.

ე. აკადემიური კეთილსინდისიერება: პლაგიატის არიდების პროგრამაში გამოვლენილი მსგავსების პროცენტის დასაბუთება;

დანართი 3

ნაშრომის შინაარსობრივი და ტექნიკური შეფასების კრიტერიუმები

საკურსო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, რომელიც მოიცავს ორგვარ შეფასებას: წერითი ნაშრომი (70 ქულა), ზეპირი პრეზენტაცია (30 ქულა).

წერითი ნაშრომი ფასდება 70 ქულით, რომლის დროს გასათვალისწინებელია შინაარსობრივი კრიტერიუმი (30 ქულა), აკადემიური კრიტერიუმი (30 ქულა) და სტრუქტურულ-ტექნიკური კრიტერიუმი (10 ქულა).

ზეპირი ნაშრომი ფასდება 30 ქულით და მნიშვნელობა ენიჭება შინაარსობრივ კრიტერიუმს (10 ქულა), პრეზენტაციულობასა და კომუნიკაციას (10 ქულა), დამაჯერებლობასა და არგუმენტების სიძლიერეს (10 ქულა).

(ა) წერითი ნაშრომის შინაარსობრივი კრიტერიუმი (30 ქულა): საკურსო ნაშრომი, პირველ რიგში, უნდა იყოს შინაარსობრივად გამართული. მასში უნდა იყოს აგებული ლოგიკური ჯაჭვი. არგუმენტები უნდა იყოს დასაბუთებული. ჰიპოთეზა უნდა მტკიცდებოდეს, ხოლო დამოკიდებულ ცვლადს (რასაც იკვლევს ავტორი) და დამოუკიდებელ ცვლადებს (ის ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დამოკიდებული ცვლადის ცვლილებაზე) შორის უნდა მტკიცდებოდეს კავშირი. ამასთან, ნაშრომიდან უნდა ჩანდეს, რომ სტუდენტი ღრმად ფლობს იმ საკითხს, რასაც იკვლევს და რომ ის გაეცნო საკითხის ირგვლივ არსებულ ძირითად ლიტერატურას. ყოველივე ამის გასარკვევად შინაარსობრივი კრიტერიუმის დროს გამოიყენება შემდეგი 7 კომპონენტი:

1. პრობლემის წარმოჩენა, საკვლევი კითხვის სწორად დასმის გზით;
2. კვლევის აქტუალურობა და სიახლე;
3. ჰიპოთეზის ვალიდურად ჩამოყალიბება და დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების სწორად განსაზღვრა;
4. საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მონაცემების წარმოჩენა;
5. კვლევის მეთოდების შესაბამისობა კვლევის მიზანთან; კვლევის მიდგომებისა და სტრატეგიების რელევანტურობა და დასაბუთებულობა;
6. არგუმენტაციის ლოგიკურობა;
7. საკითხის განხილვის სისრულე.

(ბ) წერითი ნაშრომის აკადემიური კრიტერიუმი (30 ქულა): იმის გამო, რომ საკურსო ნაშრომი, პირველ რიგში, აკადემიური ნაშრომია, იგი უნდა შედგებოდეს ნაშრომისთვის დამახასიათებელი აკადემიური კომპონენტებისგან. გამსწორებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ რამდენად აქვს სტუდენტს განვითარებული სამუშაო ჰიპოთეზა, ან რამდენად ახდენს სტუდენტი რომელიმე სხვა ავტორის ჰიპოთეზის ტესტირებას. სტუდენტი უნდა გამოჰყოფდეს დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს. სასურველია, რომ ამ ცვლადებში ცალკე იყოს გამოყოფილი ამხსნელი ცვლადი. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომში იყოს რამე სიახლე (ან ახალი ჰიპოთეზის განვითარება, ან სხვისი ჰიპოთეზის ახალ რეალობაზე ტესტირება და ა.შ.). აკადემიური კრიტერიუმის ანალიზის დროს უნდა გათვალისწინებული იქნას შემდეგი 7 კომპონენტი:

1. სიახლე/ორიგინალურობა;
2. საკვლევი კითხვის არსებობა;
3. ჰიპოთეზის არსებობა;
4. დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების არსებობა;
5. ლიტერატურის მიმოხილვის არსებობა;
6. მეთოდოლოგიის არსებობა;
7. თეორიის არსებობა;

(გ) წერითი ნაშრომის ტექნიკური და სტრუქტურული კრიტერიუმი (10 ქულა): საკურსო ნაშრომის ტექნიკური გამართულობა გულისხმობს, პირველ რიგში, ნაშრომის მიერ საკურსო ნაშრომისათვის აუცილებელი ტექნიკური კრიტერიუმების დაკმაყოფილებას. ტექნიკური ნაწილი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. საკურსო ნაშრომის გაფორმებისთვის აუცილებელი ტექნიკური მოთხოვნების დაცულობა;

2. ნაშრომის ძირითადი სტრუქტურული ნაწილების არსებობა;
3. გამოყენებული წყაროების სანდოობა;
4. ნაშრომის სტილისტური გამართულობა;
5. ციტირებული ლიტერატურის მითითების სისწორე;
6. გამართული ენა და სტილი;

(დ) ზეპირი პრეზენტაციის შინაარსობრივი კრიტერიუმი (10 ქულა): კანდიდატმა უნდა შეძლოს გამართულად წარმოადგინოს ნაშრომის აკადემიური სტრუქტურა, განავითაროს საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა, დაასაბუთოს ძირითადი არგუმენტები და თეორიით ახსნას დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის არსებული კავშირები. კანდიდატმა უნდა შეძლოს თემატიკის ირგვლივ დასმულ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხების გაცემა და საკითხის ირგვლივ ღრმა ცოდნის გამოვლენა.

(ე) ზეპირი პრეზენტაციის დროს პრეზენტაბელურობისა და კომუნიკაციის კრიტერიუმი (10 ქულა): კანდიდატმა უნდა მოახდინოს ნაშრომის პრეზენტაცია, გადმოსცეს ნაშრომის ძირითადი გზავნილი/თეზისი.

(ვ) დამაჯერებლობისა და არგუმენტების სიძლიერის კრიტერიუმი (10 ქულა): კანდიდატს უნდა შეეძლოს არგუმენტირებულად აჩვენოს, როგორ სცემს პასუხს საკვლევ კითხვას ნაშრომში განვითარებული ჰიპოთეზა. ავტორმა უნდა შეძლოს დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების გამოყოფა, თეორიის მეშვეობით ამ ცვლადებს შორის კავშირის ახსნა, ასევე ძირითადი ლიტერატურის სწორად ციტირება და მეთოდოლოგიის ახსნა. ოპონირების დროს კითხვებზე პასუხის დამაჯერებლად გაცემა ან შესაბამისი გარემოებების ახსნა.

დანართი 4

საკურსო ნაშრომის (წერითი ნაშრომი) შეფასების ფორმულარი

კრიტერიუმი (იხილეთ დანართი 3)	**მაქსიმალური ქულა**	**მინიჭებული ქულა**
წერითი ნაშრომი	**70 ქულა**	
შინაარსობრივი კრიტერიუმი	30 ქულა	
აკადემიური კრიტერიუმი	30 ქულა	
სტრუქტურულ-ტექნიკური კრიტერიუმი	10 ქულა	
კომენტარი სამივე კრიტერიუმის შეფასების თაობაზე (სავალდებულოა გამსწორებლისთვის): **გამსწორებლის სახელი, გვარი:** **ხელმოწერა:**		

დანართი 4ა

საკურსო ნაშრომის ზეპირი დაცვის შეფასების ფორმულარი

ზეპირი დაცვა *(იხ. დანართი 3)*	**30 ქულა**	**მინიჭებული ქულა**

შინაარსობრივი კრიტერიუმი	10 ქულა	
პრეზენტაბელურობა/კომუნიკაცია	10 ქულა	
არგუმენტირებულობა	10 ქულა	
კომენტარი სამივე კრიტერიუმის შეფასების თაობაზე (სავალდებულოა გამსწორებლისთვის): **გამსწორებლის/ების სახელი, გვარი:** **ხელმოწერა:**		

დანართი 4ბ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი მედიცინის სკოლის საკურსო პროგრამა - ----(--- წლის მიღება) **სტუდენტის სახელი გვარი _____**				**თვე, წელი**
		საკურსო ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულა -		**კომისიის წევრის ხელმოწერა**
	კომისიის წევრის სახელი, გვარი	**წერითი კომპონენტი (70 ქულა)**	**ზეპირი პრეზენტაცია (30 ქულა)**	
	საბოლოო ქულა:			

დანართი 5

საწყისი გვერდების გაფორმება
(თავფურცელის ნიმუში)

საკურსო ნაშრომის სრული სათაური
საკურსო ნაშრომის ქვესათაური (არსებობის შემთხვევაში)

სტუდენტის სახელი და გვარი

საკურსო ნაშრომი *წარდგენილია* შავი ზღვის საერთაშორისო *უნივერსიტეტის*
მედიცინის სკოლაში
დიპლომიებული მედიკოსის (მეგისტრთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამის სახელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
სახელი და გვარი,
აკადემიური ხარისხი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
თბილისი, 2023

ტურაბიანის მეთოდით ციტირების და ბიბლიოგრაფიის მითითების წესი

ტურაბიანის მეთოდი

ტურაბიანის მეთოდი გულისხმობს წყაროების გამოყენების ორ ხერხს: (1) სქოლიოები და ბიბლიოგრაფია, (2) ტექსტში ფრჩხილებში მითითებული წყარო და გამოყენებული წყაროების ჩამონათვალი. საკურსო ნაშრომში გამოიყენება ტურაბიანის მეორე მეთოდი.

ტურაბიანის ფრჩხილებში მითითების წესი

ფრჩხილებში მითითების წესის დროს ტექსტში ავტორის სახელი და პუბლიკაციის წელი მიეთითება ფრჩხილებში. ნაშრომის ბოლოს აუცილებელია გამოყენებული ლიტერატურის სიის დართვა, რომელშიც მხოლოდ ის ლიტერატურა გამოიყენება, რომელიც ტექსტშია ფრჩხილებში მითითებული. ამ სიას შეიძლება ეწოდოს „გამოყენებული ლიტერატურა“, „ლიტერატურა“, ან „გამოყენებული წყაროები“. ქვემოთ მოცემულია სხვადასხვა ტიპის ლიტერატურის გამოყენების გზები ტურაბიანის ფირჩხილებში ციტირების მეთოდში.

ფრჩ ნიშნავს - ტექსტში ციტირებას ფრჩხილებში მითითების გზით;
ლიტ ნიშნავს - ნაშრომის ბოლოს „გამოყენებულ ლიტერატურაში“ წყაროს მითითებას;

წიგნი ერთი ავტორით:

ფრჩ (Franklin 1985, 54)

ლიტ Franklin, John Hope. 1985. George Washington Williams: A biography. Chicago: University of Chicago Press.~

წიგნი ორი ავტორით:

ფრჩ (Lynd and Lynd 1929, 67)

ლიტ Lynd, Robert, and Helen Lynd. 1929. Middletown: A study in American culture. New York: Harcourt, Brace and World.

წიგნი ორზე მეტი ავტორით:

ფრჩ (Greenberger and others 1974, 50)

ლიტ Greenberger, Martin, Julius Aronofsky, James L. McKenney, and William F. Massey, eds. 1974. Networks for research and education: Sharing of computer and information resources nationwide. Cambridge: MIT Press.

როდესაც ავტორია დაწესებულება, ან ორგანიზაცია:

ფრჩ (American Library Association 1978, 25)

ლიტ American Library Association, Young Adult Services Division, Services Statement Development Committee. 1978. Directions for library service to young adults. Chicago: American Library Association.

როდესაც გამომცემელი, რედაქტორი, კომპილატორია ავტორი:

ფრჩ (von Halberg 1984, 225)

ლიტ von Halberg, Robert, ed. 1984. Canons. Chicago: University of Chicago Press.

როდესაც ავტორის ნაშრომი მოცემულია ქრესტომათიაში, ან მრავალი ავტორისგან შემდგარ კომპილაციაში:

ფრჩ (Coleridge 1884, 18)

ლიტ Coleridge, Samuel Taylor. 1884. The complete works of Samuel Taylor Coleridge. Edited by W.G.T. Shedd. Vol.1, *Aids to reflection*. New York: Harper and Bros. no. 4: 39-56.

გამოცემა (არა პირველი გამოცემა):

ფრჩ (Bober 1948, 89)

ლიტ Bober, M.M. 1948. Karl Marx's interpretation of history. 2d ed. Harvard Economic Studies. Cambridge: Harvard University Press.

ერთი ავტორის ნაშრომი მეორე ავტორის ნაშრომში:

ფრჩ (Beech 1982, 115)

ლიტ Beech, Mary Higdon. 1982. The domestic realm in the lives of Hindu women in Calcutta. In Separate worlds: Studies of purdah in South Asia, ed. Hanna Papanek and Gail Minault, 110-138. Delhi: Chanakya.

მეორადი წყაროს ციტირება:

ფრჩ (Barthes 1968)

ლიტ Barthes, Roland. 1968. "La mort de l'auteur" (The death of the author). Manteia, vol. 5. Translated by Stephen Heath in Image/music/text. New York: Hill and Wang, 1977, 147. Quoted in Wayne C. Booth. Critical understanding: The powers and limits of pluralism, 372-373, n. 9. Chicago: University of Chicago Press, 1979.

აკადემიურ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია:

ფრჩ (Jackson 1979, 180)

ლიტ Jackson, Richard. 1979. Running down the up-escalator: Regional inequality in Papua New Guinea. Australian Geographer 14 (May): 175-84.

ჟურნალში, ან გაზეთში გამოქვეყნებული სტატია:

ფრჩ (Weber 1985, 42)

ლიტ Weber, Bruce. 1985. The myth maker: The creative mind of novelist E.L. Doctorow. New York Times Magazine, 20 October, 42.

წიგნის მიმოხილვა, რომელიც ჟურნალშია გამოქვეყნებული:

ფრჩ (Frankfather 1985, 524)

ლიტ Frankfather, Dwight. 1985. Review of The disabled state, by Deborah A. Stone. In Social Service Review 59 (September): 523-25.

დისერტაცია, ან სხვისი საკურსო ნაშრომი/თეზისი:

ფრჩ (Artioli 1985, 10)

ლიტ Artioli, Gilberto. 1985. Structural studies of the water molecules and hydrogen bonding in zeolites. Ph.D. diss., University of Chicago.

ელექტრონული დოკუმენტი:

ფრჩ (Baker and Hunstead 1995)

ლიტ Baker, Joanne C., and Richard W. Hunstead. 1995. Revealing the effects of orientation in composite quasar spectra. Astrophysical Journal 452 (October). Internet. Available from http://www.aas.org/ApJ/v452n2/5309/5309.html; accessed 29 September 1995.

ფილმი, ან ვიდეო ჩანაწერი:

ფრჩ (Perlman 1985)

ლიტ Perlman, Itzak. 1985. Itzak Perlman: In my case music. Produced and directed by Tony DeNonno. 10 min. DeNonno Pix. Videocassette.

მხატვრული ნამუშევარი, რომელიც სხვა წიგნშია გადაბეჭდილი:

PR (Nast 1967, plate 52)

RL Nast, Thomas. 1967. The Tammany tiger loose: "What are you going to do about it." Cartoon. Harper's Weekly, 11 November 1871. As reproduced in J. Chal Vinson, Thomas Nast: Political cartoonist, plate 52. Athens, Ga.: University of Georgia Press.

ტურაბიანის მეთოდით ციტირებისთვის შეგიძლიათ ასევე იხილოთ ჩიკაგოს სტილის უახლესი სახელმძღვანელო, ტურაბიანის მეთოდი - https://www.chicagomanualofstyle.org/turabian/turabian-author-date-citation-quick-guide.html